№ 131 24 ივნისი, კვირა 1866—1879 24 ივნისი, კვირა № 131

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით სტრიქონზე 1 კაპ., ჩვეულებრივი ციცერონი — 5 კაპ., პეტარატი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

განცხადება

მაქვს პატივი განუცხადო თფილისის პატივცემულ ვაჭრებს, რომ მე მოვიტანე პარიჟიდამ ყოველ გვარი საქონლის ნიმუშები, რომლებზედაც ვიღებ ზაკაზებს კარგის პირობებით.

მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ეს ნიმუშები უ. არწრუნის ქარვასლაში-№ 181, სადაც იქმნება გამოფენილი მოკლე ხნით. პარიჟის ფირმა: Gilles et Iohan Chandons.

წარმომადგენელი ზ. იეზოვი.

(12—5)

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბალის (სადოვის) ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—ხუთი მანეთი.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 21 ივნისს. გაზეთს „გოლოსში“ დაბეჭდილია 19 ივნისს სტამბოლიდამ გამოგზავნილი შემდეგი ტელეგრამმა: ოსმალეთის მთავრობამ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება იმ უწესოებას, რომელიც ხდება სომხეთში და რომელიც აცნობეს პორტას სომხის ეპისკოპოზებმა. სომხის პატრიარქს ნერსესს ჯერ კიდევ არ წაუღია უკან ის ქაღალდი, რომელიც იმან მისცა ოსმალოს მთავრობას პატრიარქობის თანამდებობის მიტოვების თაობაზედ. ოსმალოს მთავრობას არ უნდა გაუშვას ის; სომხების ნაციონალური კრება იმის მოადგილედ არავის არ აირჩევს. გასულ შაბათს მთავარ ვეზირმა ხეირედინ-ფაშამ მიიპატიჟა ერთი გავლენიანი სომეხი არუთინ დადიანი და წინადადება მისცა იმას, რომ იკისროს სომხის საზოგადოების ვექილობა და როგორც ვექილმა მიიღოს შუამავლობა სომხებსა და ოსმალოს მთავრობას შორის. ეს ამბავი გასულ კვირას გამოაცხადეს სომხის ყველა ეკკლესიებში და ამის გამო აქაური სომხები ძალიან აღელვებული არიან.

პეტერბურღის ბირჟა, 21 ივნისს

(ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:		მან. კაპ.
პირველი გამოცემის	—	95—37
მეორე —	— — —	95— „
მესამესი	— — —	95—12
მეოთხესი	— — —	95— „
აღმოსავლეთის პირ.	—	92—37
აღმოსავლეთის მეორე	—	92—37
აღმოსავლეთის, მესამე	—	91—87
ოქრო, 1/2 იმპერიალი	—	8—39
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი	—	„— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

		მან. კაპ.
პირველი სესხის—	—	241—25
მეორე სესხის	— —	235—25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— —	23—62	პენსი
ამსტერდამი	—	119—50	ცენტი
ბერლინი	— —	201—50	პფენიგი
პარიჟი	— — —	249—50	სანტიმი
კავკასიის კერასინი	—	„ —	

საქართველო

თფილისის გუბ. სამღვდელოებას.

თფილისში არის ამ ჟამად კრება მთელი გუბერნიის სამღვდელოებისა; ამ კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს მდგომარეობა თფილისის სასულიერო სასწავლებლებისა, რომელშიაც იმის შვილები იზრდებიან და რომელთ შესანახავად ეს სამღვდელოება მუდამ წელიწადს განსაზღვრულ ფულს იხდის.

კანონი აძლევს სამღვდელოებას უფლებას, რომ დაწვრილებით გამოიკვლიოს ამ სასწავლებლების მდგომარეობა, შეიტყოს—თუ როგორ ასწავლიან იქ იმის შვილებს, როგორ არჩენენ, როგორ უვლიან და სხვ.

და თუ საჭიროდ დაინახა, თუ დაინახა, რომ სასწავლებელში ხეირიანად არ ასწავლიან, რიგიან საჭმელ-სასმელს არ აძლევენ, კარგათ არ უვლიან ყმაწვილებს,—სამღვდელოებას სრული უფლება აქვს გამოცვალოს, გადააყენოს როგორც ზედამხედველი და ინსპექტორი სასწავლებლისა, აგრეთვე მასწავლებლები, ეკონომი და სხვ.

საუბედუროთ, ამ უფლებით თფილისის გუბერნიის მართლმადიდებელი სამღვდელოება, როგორც ეტყობა, სრულიად არ სარგებლობს.

მთელმა ქვეყანამ იცის, მაგალითად, რომ ქუკიის სასულიერო სასწავლებელში სწავლაც უწურიგოთ მიდის, არც უვლიან შაგირდებს, არც ხეირიან საჭმელ-სასმელს აძლევენ, ხშირად ავათაც ხდებიან და იხოცებიან, ცუდათ შენახვის გამო, შაგირდები,—ყველა ეს რამდენჯერმე საქვეყნოდ გამოცხადდა, ყველა ეს აშკარაა, მაგრამ სამღვდელოებას დღემდინ თითიც არ გაუნძრევია იმისთვის, რომ გააუმჯობესოს მდგომარეობა იმ სასწავლებლისა, რომელშიაც ორასი იმის შვილები იზრდებიან ანუ, უკეთ ვსთქვათ, იტანჯებიან.

ჩვენ გვაცნობებენ, რომ სასულიერო სასწავლებელში შეკრებილ სამღვდელოებას დიდი მოლაპარაკება აქვს იმაზედაო, რომ ამ სასწავლებლისათვის ახალი სახლი იშოვნონ, ან იყიდონ საკუთრად სადმე, ანააშენონო და სხვ.

ეს, რასაკვირველია, კარგი და პატიოსანი განზრახვაა; სასწავლებელს, რომელშიაც ასამდინ პანსიონერია, კარგი სრული, მოთავსებული სახლი ეჭირება; მაგრამ მარტო სახლი არ შეიქს სასწავლებელს, არ გააუმჯობესებს იმის მდგომარეობას. საჭიროა, კარგ სადგომთან სასწავლებელს კარგი შემნახველი, კარგი ყურის-მგდებელი და რიგიანი მასწავლებლები ჰყავნდეს,—და უმთავრესი ყურადღება სამღვდელოებისა, ჩვენის აზრით, ამაზე უნდა იყოს მოქცეული.

ჩვენ ვიცით ამ სასწავლებლის უბედური და საბრალო მდგომარეობა, ვიცით—როგორ ასწავლიან, უვლიან, არჩენენ და ყურს უგდებენ შაგირდებს ის პირნი, რომელთაც აბათი ბედი აქვთ მინდობილი და ამიტომ ურჩევთ სამღვ-

დელოებას, რომ კარგათ, პატიოსნად, დალაგებით გამოიკვლიოს ამ სასწავლებლის მდგომარეობა, გაჩხრიკონ ჟურნალები, შემოსავალ-გასავლის დავთრები, კითხონ თვით შაგირდებსაც და ამის შემდგომ მოიქცნენ ისე, რომ, რამდენიმე კაცის წყალობით, ორასი ყმაწვილი, ორასი შვილი სამღვდელოებისა, ამავე სამღვდელოების დაუდევრობით, არ იღუპებოდეს...

ს. მ.

დღიური

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ წელს ჩვეულებრივზე უფრო მომეტებული მსურველები არიანო თფილისის სასულიერო სემინარიაში შესვლასაო. განსაკუთრებით იმერეთიდამ ჩამოსულან ბევრნი. მაგრამ ამასთანავე ისიც გავიგონეთ, რომ, ახალი კანონის გამო, რომლის ძალითაც სემინარიაში კურს-შესრულებულებს, გარდა სასულიერო აკადემიებისა და ფილოლოგიურ ფაკულტეტისა, ყველა სხვა უმაღლესს სასწავლებლებში სწავლის გზა მოესპოთ, რამდენიმე შეგირდები გამოვიდნენ წელს ჩვენი სემინარიიდამ და სხვა საშუალ ე სასწავლებლებში აპირებენ ახლა სწავლის გაგრძელებასაო.

*** ამბობენ, რომ თფილისის გუბერნიის სამღვდელოთა კრებას ჰსურსო, რომ როგორმე მოიშოროს თავიდამ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი და ამ განზრახვით სასწავლებლის შემოსავალ-გასავლის წიგნებს რევიზიას უშვრებიანო.

თუ კარგი, პატიოსანი და მცოდნე რევიზორები იქნებიან, როგორც გვითხრეს, შემოსავალ-გასავლის დავთრებს გარდა, სხვა ბევრ საქმეშიაც დიდ უწესოებას და ბოროტ-მოქმედებას აღმოაჩენენო. კარგი იქნებაო, გვითხრეს, რომ ზედამხედველს ინსპეკტორსაც უკან გააყოლებდნენო, რადგანაც ორივე ერთ ნაირად აფუჭებენ ამ სასწავლებლის საქმესაო.

*** ქართლიდამ გვწერენ, რომ კალიამ ძალიან დიდი ზარალი მისცა წელს აქაურ ყანებსაო და ეს ზარალი მით უფრო საგრძნობელია ღარიბი სოფლის ხალხისათვისაო, რომ არც შარშან ყოფილა ქართლისაკენ ხეირიანი მოსავალი ნამუშევრისაო.

*** ამავე საგნის შესახებ ერთ ახირებულ ამბავს გვწერენ აგრეთვე ქართლიდამ:

ვიღაც ერთი გლეხი გამოჩენილა იქითკენ, რომელიც ხალხში ხმას ავრცელებს თურმე, რომ იმას გამოეცხადა ერთი წმ. გიორგთაგანი და უთხრა, რომ ეს კალია იმიტომ მოგავლინათ ღმერთმაო, რომ უქმ დღეებს არ ინახავთო და ცუდ-კაცობა ქურდ ობა და ბოროტება გავრცელდა თქვენშიო. ეს მქადაგებელი პირველად მუხრანში გამოცხადებულა და აქედამ სხვა სოფლებშიაც წასულა საქადაგებლად. მუხრანის მამასახლისმა ამის რჩევით, ფიცხელი ბრძანება გამოსცაო, რომ არამც-და-არამც არავინ გბაედოს უქმ დღეების გატეხაო და სხვ.

ესეც, კალიის წყალობით, ახალი ცრუმორწმუნეობა ჩვენში.

*** მოგეხსენებათ, რომ გორიდამ გაგზავნეს ამას წინათ ეჩმიაძინშივა რთაპეტი და ერთიც დეპუტატი წმ. იაკობის წყლის მოსატანად, რომელსაც ტარბი უნდა წამოჰყოლოდა კალიის გასაწყვეტად.

დეპუტაცია, როგორც გვწერდნენ, დაბრუნდა გორში; ნეტავი ტარბი მოჰყვა, თუ არა?

*** ჩვენ გვითხრეს, რომ თფილისიდამ ვლადიკავკავში მიმავალს ეკიპაჟებში ბევრი ნივთები იკარგება გზაზედო. სხვათა შორის, ამას წინათ ერთი გიმნაზიელი მინავალა, ყველიფერი მოუპარავთ გზაში და ისევ ცარიელი დაბრუნებულა თფილისშივე.

*** „პეტერბურლის უწყებებში“ დაბეჭდილია თფილისიდამ გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომლის ავტორი გვაცნობებს, რომ ჩვენს ქალაქში იმართება საავათმყოფო განსაკუთრებით სპარსელებისათვის. ეს საქმე უთავებია თფილისელ სპარსეთის კონსულს მირზა-მაჰმუდ-ხანს, რომელსაც კიდეც მიუღია ამ საავათმყოფოს გახსნის ნება-რთვა და საშუალებაც ხელის-მოწერით მოუგროვებია აქაურ მდიდარ სპარსლებში.

საავათმყოფოს წესდებაში სამი უმთავრესი მუხლია: საავათმყოფო იხსნება თფილისში მცხოვრებ სპარსელების ხარჯით; იმაში მიიღებენ ყველა სპარსეთის ქვეშევრდომს; ავათმყოფს წამლისა და აქიმობის ფასი არაფერი არ გადახდება.

*** კახეთიდამ გვაცნობებენ, რომ წელს იქითკენ ძალიან კარგ მოსავალს მოელიან როგორც პურისას, ისე განსაკუთრებით ღვინისასაც. კალია ჯერ იქით არსად არ გაჩენილაო, საცა იყო თფილისის ახლო-მახლო სოფლებში, ისიც წვიმებმა გაწყვიტაო. რაიცა შეეხება ღვინის მოსავალს, თუ სეტყვამ და ნაცარმა არ გააფუჭა, იმდენი იქნებაო, რომ ჩასასხმელ ჭურჭლების შოვნაც გაჭირდებაო, ისეთ ნაირად ასხიაო. მხოლოთ ალაგ-ალაგ გამოჩენია ყურძენს „ნაცარი.“

*** ქუთაისის გუბერნიიდამაც კარგ მოსავლის იმედს იწერებიან. ბალახიც ბლომად არის წელსაო.

*** ჩვენ მოგვივიდა ქუთაისიდამ შემდეგი ანგარიში გაზეთში დასაბეჭდათ:

„16 ივნისს, შაბათს, ქუთაისში წარმოადგინეს სცენის მოყვარეებმა „შემოსავლიანი ადგილი“ ქველ-მოქმედებითი მიზნით.

„ამ წარმოდგენის შემოსავალი იყო:

	მან.	კაპ.
ბილეთები დაიბეჭდა სულ	394	40
დარჩა გაუსყიდველი — — —	116	„
გაისყიდა	278	40
პირველ წყებაში ჩაიდგა მომეტებული — — — — — —	12	„
სულ შემოვიდა	290	40
გასავალი:		
ზალის ქირა — — — —	50	„
მუზიკა — — — — —	20	„
დეკორაციის დადგმა — —	20	„
აფიშა — — — — —	10	„
პარიკმახერს — — — —	5	„
დანარჩენი წვრილი ხარჯი	35	40
სულ ხარჯი	140	40
დარჩა ნაღდი — — —	150	„

„აქედან 80 მან. გაეგზავნა ოდესის უნივერსიტეტის ერთ ღარიბ სტუდენტს და დანარჩენი გადიდვა სცენისათვის.“

თეატრი

„პეპო“ და „სხვა რიგი სიყვარული“.

ჩინებულად დაწყებული და კეთილ-სინიდისიანად შემდეგაც წაყვანილი სეზონი ქართული წარმოდგენებისა ამ უკანასკნელის სპექტაკლით წაგვიმწარა ქართულმა ტრუპპამ...

მკითხველმა იცის ჩვენი აზრი უფ. გაბრიელ სუნდუკიანცის კომედიის „პეპოს“ შესახებ. ეს არის ერთი ჩინებული და ხელოვნურთაგანი დრამმატიული თხზულება; მაგრამ ამასთანავე ეს არის ისეთი რთული, მძიმე, სერიოზული თხზულება, რომლის წარმოდგენა ისე ადვილად არ შეიძლება, როგორც მაგალითად „მზის დაბნელებისა“, „ტივით მოგზაურობისა“ და სხვ. ამ გვარ კომედია-ვოდევილებისა. ყოველი მომქმედი პირი ამ კომედიისა ტიპია ჩვენი ცხოვრებიდამ ამოღებული, ისეთი ტიპია, რომელიც კარგათ უნდა შეისწავლოს მოთამაშემ, რომლის ხასიათზედაც უნდა ღრმად დაფიქრდეს, თუ ჰსურს, რომ ცოტაც არის მაინც ხეირიანად და ნამდვილის მიმსგავსებით წარმოადგინოს.

გაუზვიადებელად ვამბობთ, რომ „პეპოს“ ავტორმა ისე კარგათ იცის ყოველი მოთხოვნილება სცენისა, როგორც, არა თუ ჩვენში, იქნება ევროპაშიაც ბევრმა არ იცის. და რადგან ეს პიესა სცენისათვის დაუწერია, მაშასადამე კარგათაც ითამაშება. მართლაც, ჩვენ გვინახავს „პეპო“ ქართულსავე სცენაზე, რომელსაც ნამდვილი და ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია ყველა მაყურებლებზე.

არავინ არ იტყვის ამას გუშინდელს წარმოდგენაზე. ჩინებული პიესა, მშვენიერი ადგილები, კარგი სურათები და სიტყვები პიესისა ისე წახდა, ურიგო თამაშობის წყალობით, რომ მაყურებელში თითქმის არავითარი გრძნობა არ აღუძრავს..

და ეს წარმოსდგა იმიტომ, რომ აქტიორები და აქტრისები სრულიად არ იყვნენ მომზადებულნი ამ პიესის სათამაშოდ. არათუ არ იცოდნენ—თუ როგორ უნდა ეთამაშნათ, არათუ არ გაეგოთ თავიანთი როლების ხასიათი და ტიპი, არამედ თვით როლებიც არ იცოდნენ სრულიად.

ისევ როგორც არის უფ. კ. ციფიანმა (ბიქო), ვ. აბაშიძემ (ზიმზიმოვი) და ნ. ბაბუნიასამ (შუშანა) არ გააფუჭეს თავიანთი როლები, თუმცა როლის უცოდნელობა ხშირად ამათ თამაშობასაც ბევრს ლაზათს უკარგავდა. ბვარიანად ითამაშა უც. საგარელმა (ქაკული), მაგრამ, საუბედუროდ, ამანაც ამ უკანასკნელ დროს გადაჭარბება, ფარსი დაიწყო; ერთობ მომეტებულს იმანჭება.

თვითონ პეპო (ზ. მაჩაბელი) ისე ცუდი იყო, ისე არ ჰგავდა მეთევზე პეპოს, რომ მაყურებლები თვალსა და ყურს არიდებდნენ. არც მიხვრა-მოხვრა, არც ლაპარაკის კილო მეთევზისა. ზოგიერთები გვარწმუნებდნენ, რომ უ. ზ. მაჩაბლისაგან, რომ კარგათ გაიწრთვნებოდეს, შეიძლება კარგი პეპო გამოვიდესო. იქნება ეს მართალი იყოს, მაგრამ ახლა თავის დეკლამაციით, თავის ქადაგებასავით და ორატორულის სიტყვის დაგრეხით ის სრულებით უბრალო ჩვენებურ მეთევზეს არ მოგვაგონებდა, არამედ უფრო მოქადაგე ფრანგის პატრს.

ამას წინათაც ვსთქვით და ახლაც ვამბობთ, რომ უფ. მაჩაბელი კარგი და სასარგებლო აქტიორი დადგება-მეთქი, მაგრამ იმას თავის ამპლუა, თავის ჩვეული როლი უნდა ჰქონდეს მიჩენილი; და ეს იმის ამპლუა უნდა იყვეს დიდებული, დინჯი, დარბაისელი მებატონე, დიდი კაცი, რეზონიორი და არა სხვა რომელიმე.

ძალიან კარგს იქმენ აგრეთვე ჩვენი ახლანდელი ტრუპპის მოთავენი, რომ საფაროვის ქალს არ მისცემდნენ იმისთანა როლებს, რომელშიაც იმას არც თავის შესამჩნევი ნიჭის გამოჩენა შეუძლიან და რომელსაც ის, თუ არ წაახდენს, ვერ გააცხოველებს. დრამმატიული, მოღვრემილი, მტირალა ქალის როლი საფაროვის ქალის მცინარ, ცოცხალ, გაიძვერულ ხასიათს სრულებით არ შეეფერება...

ძალიან მიკვირს, რომ ავტორმა, რომელიც, როგორც გვითხრეს, უკანასკნელს (გენერალურს) რეპეტიციაზე დაესწრო და რომელიც, რასაკვირველია, კარგათ დარწმუნდებოდა, რომ ეს მოთამაშეები სრულებით არ იყვნენ მომზადებული „პეპოს“ წარმოსადგენად, ვამბობთ, გვიკვირს, რომ ავტორმა მისცა ნება თავის პიესის ასე უშნოდ წარმოდგენისა. დრამმატიულ თხზულებას, რაც უნდა კარგი იყოს და ხელოვნურად დაწერილი, ცუდათ სცენაზე წარმოდგენით ერთი-ორად აკლდება ყოველი თავის ღირსება და მაყურებლის თვალში ჰკარგავს მნიშვნელობას. ყოველ ავტორს ზნეობითი უფლება აქვს, რომ ამისთანა დამახინჯებისაგან დაიცვას თავის თხზულება..

„პეპოს“ წარმოდგენისაგან აღძრული ცუდი შთაბეჭდილება ცოტა არ იყოს მოსპო მაყურებელში ვოდევილს „სხვა რიგი სიყვარულში“ საფაროვისა და ვ. აბაშიძის მოხდენილმა და ცოცხალ თამაშმა. რამდენათაც „პეპოში“ უადგილოთ იყო საფაროვისა, იმდენათ აქ თავის ადგილზე იყო და თავის ნიჭის შესაფერ როლს შესაფერად თამაშობდა.

საგაასო

ქუთაისის სატუსაღო კომიტეტის სეკრეტარს.

უ. ს. აბულაძის უსაფუძვლო თავისგამართლების წერილის დასარღვეველად, რომელიც „თფილისის მოამბეში“ (№ 112) გაუშანშალებია და რომელშიაც მკიცხავს, ვითომც ყველაფერი, რასაც „დროებაში“ ვსწერდი იმაზე, სულ საძაგელი სიცრუეე არისო—მოვალე ვარ, ჩემი სიტყვების დასამტკიცებელათ წარმოვადგინო შემდეგი ფაკტები და მოაზრებები:

I

„დროების“ მე-67 ნომერში უ. ს. აბულაძეს ვკითხე: „როცა ოთხი წლის განმავალობაში (1873-1876 წ.) ათას ოთხას მანეთზე მეტი მოგრჩათ, რაში მოახმარეთ ტუსაღებს ეს ფულები-მეთქი?“ ამის შესახებ უფ. ს. აბულაძე ბრძანებს თავის წერილში, რომ „არესტანტების ხარჯს არაფერი რჩებოდა, სულ პოდრიადჩიკებს მიჰქონდა ხორაგშიო.“

ქუთაისის სატუსაღო ციხის კანცელარიაში არის „სატუსაღო კომიტეტის წესდება,“ რომლის მიხედვით სატუსაღო ციხის ზედამხედველი იწერდა ხორაგს პოდრიადჩიკებისაგან 1873-1876 წლებში ას კაცზე: 200 გირვანქა პურს, 25 გირვანქას გამხმარს ხარ-ძროხის თავის ძვლებს, უტვინოს და უენოს, 12½ გირვ. ბრინჯს, 25 გირვ. ლობიოს, 7 გირვ. მარილს, 16 მისხალს სანელებელს, 5 გირვანქა ხახვს და 2 გირვანქა ზეთს.

თუ უ. ს. აბულაძის სიტყვები მართალია, რომ არესტანტების ხარჯს არაფერი რჩებოდა, სულ პოდრიადჩიკებს მიჰქონდაო, მაშ შკაფიდამ გამოიტანოს 1873-1876 წლების ანგარიშები, რომლებიც სატუსაღო ციხის ზედამხედველს წარუდგენია კომიტეტში ყოველს თვისა და თვის თავს და ვიანგარიშოთ თვეობით, ჯერ 1873 წლის. ამ წელში ხომ თითო ტუსაღს ღღიურ საზრდოთ ორ-ორი შაური ეძლეოდათ ხაზინიდამ? დავიწყოთ, იანვრიდამ.

იანვარი (1873 წ.)

იანვრის თვეში ტუსაღებს მიურთმევიათ 3188 კერძი ანუ პორცია. თუ ხაზინას თითო პორციისათვის დანიშნული ჰქონდა ღღეში ორ-ორი შაური, მაშ კომიტეტს უნდა გამოეტანა (და კიდეც გამოიტანა) 318 მანეთი და 80 კაპ. 3188 პორციისათვის, რომელიც ხაზინას 318 მანეთად და 80 კაპეიკად უჯდება, სატუსაღო ციხის ზედამხედველისაგან არის გამოწერილი პოდრიადჩიკებიდამ ზემომოყვანილის წესდების ძალით, ამ იანვრის თვეში სულ 273 მანეთისა და 63 კაპეიკის ხორაგი (პური ხორცი, ლობიო, ბრინჯი, მარილი, სანელებელი, ხახვი და ზეთი).

მაშა სადამე, კომიტეტს უნდა მორჩენოდა ამ თვეში 45 მანეთი და 17 კაპეიკი ეკონომია.

ტყუვილი ანგარიშია, თუ მართალი, უ. ს. აბულაძე? თუ ეს ინგარიში ასე არ გამოვა, აბს თვეს სატუსაღო ციხეში ჩავეჯდები.

თებერვალი.

ამ თვეში ტუსაღებს მიურთმევიათ 2739 პორცია. ხაზინიდამ არის გამოტანილი 273 მანეთი და 90 კაპ. სატუსაღო ციხის ზედამხედველს გამოუწერია ამ თვეში პოდრიადჩიკებისაგან 231 მანეთის და 91 კაპეიკის ხორაგი.

ხაზინიდამ გამოტანილს ფულებს მორჩებოდა 41 მათი და 99 კაპეიკი.

სიმცრუეეს ვამბობ, უ. ს. აბულაძე? აბა თქვენ იანგარიშეთ.

მარტი.

ამ თვეში არესტანტებს მიურთმევიათ 2395 პორცია. ხაზინიდამ არის გამოტანილი 239 მანეთი და 50 კაპეიკი. ზედამხედველს გამოუწერია პოდრიადჩიკებიდამ 203 მანეთის და 33 კაპეიკის ხორაგი.

კომიტეტს დარჩა ეკონომია 36 მანეთი და 17 კაპ.

იანგარიშე, უ. ს. აბულაძე, თუ ტყუვილს ვამბობ.

აპრილი.

ამ თვეში დახარჯულა ტუსაღებზე 2306 პორცია. ხაზინიდამ არის გამოტანილი 230 მანეთი და 60 კაპ. პოდრიადჩიკიდამ არის გამოწერილი 161 მანეთის და 51 კაპეიკის ხორაგი. ეკონომია დარჩა კომიტეტს 47 მანეთი და 9 კაპ.

მაისი.

დახარჯულია ამ თვეში 2607 პორცია. ხაზინიდამ არის გამოტანილი 260 მანეთი და 70 კაპ. პოდრიადჩიკიდამ არის გამოწერილი 221 მანეთის და 48 კაპ. ხორაგი.

ეკონომია დარჩა კომიტეტს 39 მანეთი და 22 კაპ.

ივნისი.

დახარჯულია ტუსაღებზე 2738 პორცია. ხაზინიდამ არის გამოტანილი 273 მანეთი და 80 კაპ. პოდრიადჩიკიდამ არის გამოწერილი 235 მანეთის და 21 კაპ. ხორაგი.

ეკონომია დარჩა კომიტეტს 36 მან. 59 კაპ.

ივლისი.

დაიხარჯა ტუსაღებზე 2744 ბორცია. პოდრიადჩიკებსთ მიეცათ ხორაგის ფასათ 236 მან. 26 კაპ.

ეკონომია დარჩა კომიტეტს 38 მან. და 12 კაპ.

აგვისტო.

დაიხარჯა 2873 პორცია. ხაზინიდამ გამოვიდა 287 მან. და 37 კაპ. პოდრიადჩიკებიდამ გამოწერილია 197 მან. და 67 კაპ. ხორაგი.

ეკონომია დარჩა 89 მან. და 63 კაპ.

სეკტემბერი,

დაიხარჯა 2643 პორცია. ხაზინიდამ არის გამოტანილი 264 მან. და 30 კაპ. პოდრიადჩიკებიდამ არის გამოწერილი 184 მანეთის და 13 კაპ. ხორაგი.

ეკონომია დარჩა 80 მან. და 17 კაპ.

ოკტომბერი.

დაიხარჯა 2884 პორცია. ხაზინიდამ გამოვიდა 288 მან. და 40 კაპ. პოდრიადჩიკებიდამ არის გამოწერილი 196 მან. 82 კაპეიკის ხორაგი.

ეკონომია დარჩა 91 მან. და 58 კაპ.

ნოემბერი.

დაიხარჯა 3016 პორცია. ხაზინიდამ გამოვიდა 301 მან. და 60 კაპ. პოდრიადჩიკებიდამ არის გამოწერილი 206 მანეთის და 86 კაპეიკის ხორაგი.

ეკონომია დარჩა 94 მან. და 74 კაპ.

დეკემბერი.

დახარჯულა 3097 პორცია. ხაზინიდამ არის გამოტანილი 309 მან. და 70 კაპ. პოდრიადჩიკებს მიეცა ხორაგისათვის 215 მან. და 30 კაპ.

ეკონომია მორჩა 94 მან. 40 კაპ.

სულ ხაზინიდამ არის გამოტანილი 1873 წ. 3323 მან. და 8 კაპ. ამ ფულებიდამ პოდრიადჩიკებს მისცემიათ ხორაგისათვის 2690 მან. და 87 კაპ. ეკონომია უნდა დარჩენილიყოს კომიტეტში 632 მან. და 21 კაპ.

რაღა ბევრი გავაჭიანუროთ, ასე მაქვს ნაანგარიშები 1875, 1876 და 1877 წლებში დახარჯული და დარჩენილი ეკონომია, რომელზედაც ვამბობდი და ეხლაც ვამბობ, რომ ნაჩვენებ წლებში მორჩა ათას ოთხას მანეთზე მეტი-მეთქი. მაგრამ ჩვენი „კეთილშობილი ჩინოვნიკი“ ს. აბულაძე რო უარს ბრძანებს: „სულ დაიხარჯაო! სულ პოდრიადჩიკებს მიეცაო“! თუ იყოს მორჩენილი ათას ოთხას მანეთზე მეტი ეკონომია, სამს დღეს თქვენ, უფ. სეკრეტარო, ჩაჯექით ქუთაისის სატუსაღოში, და თუ მართალი გამოვა თქვენი სიტყვები—არაფერი რჩებოდაო, სამს თვეს მე ჩავჯდები. თუმცა სამი თვის ტყვეობის ატანა ჩემთვის საძნელო და მომაკვდინებელი რამაა, მაგრამ ამასაც ვიტყვი, ეს სასჯელი კიდევ ცოტაა იმისთანა მწერლებისათვის (მათ რიცხვში თქვენი აზრით მეც ურევივარ), რომლებიც „ერთი სტაქანი არაყისათვის მზათ არიან დახარჯონ წმინდა სიტყვები და შეურაცყოფა მიაყენონ რომელიმე.... რაღა რომელიმე—თქვენისთანა პატიოსანს და „კეთილშობილ ჩინოვნიკს“...

(დასასრული შემდეგ №-ში.)

განცხადება

თფ. ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობამ შეიტყო, რომ ზოგიერთი დიდი გაუშენებელი მამულების მეპატრონეები ქ. თფილისში, როგორც მაგალითად თ. თუმანოვები, ერისთავი, ბაბაშვილები, მელიქოვი და სხვანი, ნაწილ-ნაწილად ჰყოფენ თავიანთ მამულებსა და ასე ნაჭრებად ჰყიდიან უპლანოთ და პლანის წარუდგენელად ქალაქის გამგეობაში, რომელიც წინააღმდეგია „ქალაქის კეთილ-განწყობილების დროებით წესდების“ მე-16 მუხლისა და „შენობითი წესდების“ 307 მუხლისა.

ამის გამო ქალაქის გამგეობა მოიწვევს ამ მამულების პატრონებს — რომ სანამ გაჰყიდდნენ თავიანთ მამულებს, სანამ **მამულის დაყოფის პროექტი წარმოადგინონ ქალაქის გამგეობაში** განსახილველად; მყიდველთ კი ქალაქის გამგეობა არ მისცემს შენობის უფლებას იმ მიწაზე, რომლის გამომყიდველსაც ზემოხსენებული მოთხოვნილება არ შეუსრულებია. ამ მოხსენებულ პროექტების შედგენაში ქალაქის გამგეობა, შეძლებისა-და-გვარად, შემწეობას მისცემს მამულის მეპატრონეთა.

(3--3)

პირუტყვების დამცველი თფილისის საზოგადოება აცხადებს, რომ ვისაც ამ ზაფხულის განმავალობაში საზოგადოებასთან რაიმე საქმე ექნება, უნდა მიმართოს, საღამოს 4 საათიდამ 5-მდინ, საზოგადოების სეკრეტარს უფ. **ნ. ი.** მესჩერსკის, რომელიც ცხოვრებს რიყეზე, ახნაზაროვის სახლში, მიროვოი სუდის გვერდით. ხაზინადარი საზოგადოებისა უფ. **ი. მ.** პასუმოვი დგას ვარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზე, ვარლამოვის სახლში, № 18; ამის ნახვა შეიძლება ნასადილევის 3 საათიდამ 5-მდინ.

(3—3).

გურიაში, სოფელს ხიდის-თავში გაეხსენი **სტალიარის ქარხანა**. ვაკეთებ ყოველ გვარ კარგ მებელს, იაფ ფასად. მსურველს შეუძლიან მომართოს მღვდ ფილიპე კალანდაძის სახლში.

სერაფიონ კალანდაძე

(5—4)

რკ. გზა.	დილა.		სალამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
გორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . .	5	39	1	37	7	51	3	84
გორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი . .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ვარშავს . . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ლია წიგნის	3
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი 22 ივნისს.	—	—
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	20
ფქვ. წითელი . .	1	55
ქერი ფუთი . . .	1	35
ბამბა ერევნისა, ფუთი.	7	30
—ამერიკისა, ფუთი .	8	50
გაწმენდილი ბამბა ფუთი.	10	70
მატყლი თუშური ფუთი.	8	—
—თარაქამისა ფუთი .	4	—
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	12	40
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	72
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროც. ფუთ .	7	10
—ფხვნილი ფუთი .	5	75
ყავა რგვალი გრვ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	11	80
თამბაქო საშუალო ფთ.	6	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მოედანზე [illegible] ის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 9 საათიდამ 1-დინ

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინიგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ა. გახუტოვი—საბებიო და ბავშვ-ს. პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ქიუჩარიანცი—სიფილიტიკურ და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Іюня 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.